

მიბაძვა და მაგალითი

კაცობრიობამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, ვიდრე იმ უნარებს მოიპოვებდა, რომლებიც თანამედროვე ადამიანს გააჩნია და რომლებიც მას ცოცხალი ბუნების სხვა საუფლოსგან გამოარჩევს. პალეონტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, დღეს უკვე შესაძლებელია ამ გზის წარმოდგენა.

გაადამიანურების პროცესი 7 მილიონი წლის წინ დაიწყო ზეადმართულობის პირველი ნიშნების გაჩენით. თუმცა, გამართულად სიარულის მოპოვებას ადამიანმა კიდევ მილიონობით წელი მოანდომა. ვინაიდან ზეადმართულობა გენეტიკურად განპირობებული არაა, ლოგიკურად ისმის კითხვა: როგორ მოახერხა კაცობრიობამ მისი სრულყოფა და თაობიდან თაობაზე გადაცემა? ამ კითხვაზე პასუხის პოვნა ადამიანის დღემდე აღმოჩენილ უძველეს ნაკვალევზე დაკვირვებითა და შესწავლით შეიძლება.

1976 წელს, აღმოსავლეთ აფრიკაში, ნგორონგოროს ნაკრძალში, ახალბედა პალეონტოლოგებმა პეტერ იონესმა და ფილლიპ ლეკემი აღმოაჩინეს ადამიანის 3.6 მილიონი წლის წინანდელი ნაკვალევი. ვულკანურ ფილაზე მკაფიოდ მოჩანს ტერფის ანაბეჭდები. სულ 22 ნაბიჯია, რომელიც 3 ადამიანს – ორ მოზრდილს და ერთ ბავშვს ეკუთვნის. ერთი ზრდასრული მეორის კვალდაკვალ, მის ნატერფალებზე დადიოდა, ბავშვი კი, პარალელურად (სავარაუდოდ, უფროსთან ხელჩაჭიდებული), იგივე სიფართოვის ნაბიჯითა და თანაბარი რიტმით მიაბიჯებდა.

ეს გახლავთ ქვაზე აღბეჭდილი პრეისტორიული ილუსტრაცია იმ მოვლენისა, რასაც მიბაძვა ჰქვია. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიბაძვით ითვისებდა კაცობრიობა უმნიშვნელოვანეს უნარებს და განვითარების გზაზე წინ მიიწევიდა: – 2.5 მილიონი წლის წინ იწყება ქვის იარაღების დამუშავება, რაც სიმარჯვეზე მიუთითებს. დედამიწაზე დასაბამი ეძლევა ადამიანურ საქმიანობას. – 300 000 წლის წინ პირის აპარატი ისეთ კონფიგურაციას იძენს, რომ იქმნება მეტყველების ანატომიური საფუძველი. – 50 000 წლის წინ იწყება კომბინაციური აზროვნება. გამყინვარების პერიოდის ბოლოს ვითარდება „მე“ - ცნობიერება.

ამრიგად, კაცობრიობის განვითარების ეტაპები ამ თანმიმდევრობით შეგვიძლია დავაღვაწოთ:

- ზეადმართული სიარული
- ხელით საქმიანობა
- მეტყველება
- აზროვნება
- „მე“ - ცნობიერება

ამ ეტაპების გავლას კაცობრიობამ 7 მილიონი წელი მოანდომა. ამ უნარებს თანამედროვე ადამიანი ინდივიდუალური განვითარების პირველ სამ წელიწადში

მოიპოვებს. მაგრამ მიბაძვის უნარი, დღემდე რჩება ადამიანის განვითარების უმიშვნელოვანეს ფაქტორად. ჩვილი დაბადების პირველივე დღეებიდანვე იწყებს ზეადმართულობის მოპოვებას, ვინაიდან გარშემომყოფ ადამიანებს ამ მდგომარეობაში ხედავს. შემდეგ მოიპოვებს საქმიანობისთვის ხელებს, მიბაძვის მეშვეობით სწავლობს ლაპარაკს და ეუფლება ენის ლოგიკურ გრამატიკას, რითაც საფუძველი ეყრება კომბინაციური აზროვნების განვითარებას. ადრეულ ბავშვობაში მიმდინარე ამ პროცესების გვირგვინია საკუთარი თვითობის შინაგანი განცდა, გამოსატყუი მე-ს წარმოქმნაში, რასაც მოზრდილობაში „მე“ - ცნობიერებამდე მივყავართ, ეს კი გარემომცველი ადამიანების თვითობის აღქმით იწყება.

დღესდღეობით უკვე ცნობილია ის ნეიროფიზიოლოგიური საფუძველიც, რითიც ეს ფენომენი აისხნება. გასული საუკუნის ბოლოს, იტალიელმა მეცნიერებმა ვიტორიო გალესმა (Vittorio Gallesse) და ჯაკომო რიცოლატიმ (Giacomo Rizzolatti) – ე.წ. სარკისებური ნეირონები აღმოაჩინეს. ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ფსიქიატრის იოახიმ ბაუერის (Joachim Bauer) აზრით, სწორედ ეს ნეირონები განაპირობებენ ადამიანის ზოგად უნარს, გაიმეოროს სხვისი ქცევა. ეს იმიტაციური შესაძლებლობები ყველაზე მეტად ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის ასაკში იჩენს თავს, ვინაიდან სარკისებურ ნეირონთა აქტივობა ამ დროს განსაკუთრებით მაღალია.

ასე რომ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ის ორი მაგიური სიტყვა, რომლითაც სრულად გამოიხატება ბავშვის დამოკიდებულება გარემოსთან ადრეულ ასაკში, არის მიბაძვა და მაგალითი. ბავშვი ბაძავს ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდება.

პირველი დიდი ეპოქა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც 7 წლის ასაკში სრულდება, იმით ხასიათდება, რომ ბავშვი შინაგანად ჯერ კიდევ არ არის გამოცალკევებული სხეულიდან. იგი გაცილებით მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკური სხეულის პროცესებთან, ვიდრე გვიანდელ ასაკში. ბავშვის განცდები იმ შთაბეჭდილებებზეა დამოკიდებული, რასაც იგი გრძნობათა ორგანოების მეშვეობით ფიზიკური გარემოდან იღებს. ეს კი პირდაპირ, ანალიზის გარეშე, მოქმედებს მის ფიზიკურ სხეულზე და მას შესაბამის მოძრაობებს, ქსტებსა და ქმედებებს უყალიბებს. ბავშვის ჩართულობა მის გარშემო არსებულ სინამდვილეში, მთლიანად განაპირობებს მის ქმედებას.

სწავლის ძირითადი ფორმაც ამ ასაკში მხოლოდ იმის მიბაძვაა, რასაც ბავშვი გარემოში ხედავს და ისმენს. სიცოცხლის პირველ წლებში იგი მიბაძვით სწავლობს წამოდგომას და სიარულს, მეტყველებას და ა.შ. თუმცა, ინიციატივა, რომ ეს ქმედება შეასრულოს – მიბაძვის სურვილი – მთლიანად მასშია. ბავშვი თავად არის აქტიური, გამუდმებით ვარჯიშობს, სურს, აითვისოს ადამიანური უნარები.

ამრიგად, ამ ასაკის პედაგოგიკის ამოცანას შეადგენს, ისე მოაწყოს ბავშვის გარემომცველი სამყარო, რომ მან, მრავალფეროვანი შეგრძნებების მეშვეობით, განვიითაროს მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მიბაძვის სურვილი.

მიბაძვის სურვილზე დამყარებული სწავლება გულისხმობს აღზრდას მაგალითით. ამ პროცესში არ ვიყენებთ განმარტებებს, შეგონებებს და სასწავლო მითითებებს. პატარა ბავშვი, მისთვის დამახასიათებელი ღიაობის გამო, უსაზღვრო ნდობით ეგებება

სამყაროს და განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე ახდენს გარემოდან ყველაფრის ასიმილირებას, აგროვებს შთაბეჭდილებებს და შინაგანი აქტივობით რეაგირებს მათზე, ამუშავებს ამ შთაბეჭდილებებს, აღქმებსა და ქმედებებს. სწავლობს აზროვნებას, რითაც ადამიანური სულიერებისაკენ ეხსნება გზა. ასევე მიბაძვით იძენს ყოველგვარ სასარგებლო თუ უარყოფით ჩვევას, რასაც ადამიანურ ურთიერთობებში ვხვდებით. ითავისებს უესტებს, ქმედებების ზნეობრივ შინაარსს, რაც ქვეცნობიერის დრმა ფენებში ილექება. სიცოცხლის პირველ წლებში საარსებო გარემოს შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს პიროვნების ჩამოყალიბებაზე: როგორი იქნება იგი შემდგომში – აღსავსე სიკეთით, თუ სიხარულს მოკლებული.

ამრიგად, სიცოცხლის საწყის ეტაპზე, მიბაძვის სურვილზე დაფუძნებული სწავლება, განვითარების სხვა, ფუნდამენტურ მომენტებთან ერთად, დიდ როლს ასრულებს პიროვნების ბიოგრაფიის ფორმირებაში.

უფროსები – მისაბაძი მაგალითები

ის, ვინც პირველი 7 წლის მანძილზე ბავშვთან ურთიერთობს, მისთვის მაგალითია, თავად სურს ეს თუ არა. ყველაფერი, რასაც კი ბავშვის თვალწინ აკეთებს მშობელი, აღმზრდელი თუ სხვა უფროსი ადამიანი, მასში მიბაძვის სურვილს აღძრავს.

ნოვალისი წერდა: „ადამიანურობა ისწავლება ადამიანით“. მართლაც, ბავშვს პატარაობიდანვე ესაჭიროება ზეადმართვის, მეტყველების, აზროვნების ადამიანური მაგალითები. თუკი ასე არ ხდება, საფრთხე იქმნება, რომ იგი ვერ შეძლებს სხეულის ფლობას, მეტყველებას, აზროვნებას და ა.შ. ადამიანისთვის დამახასიათებელი სახით. ამის ნათელი დადასტურებაა ე.წ. „მაუგლი ბავშვები“. გასულ საუკუნეში, ინდოეთში მისიონერებმა იპოვეს ბავშვები, რომლებიც მგლებთან იზრდებოდნენ. ისინი სოფელში წამოიყვანეს და შეეცადნენ ადამიანური უნარების ათვისებაში დახმარებოდნენ, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბავშვები მიბაძვის ასაკს გაცდენილები იყვნენ (ერთი - 7 წლის იყო, მეორე - 9 წლის). მათთვის აღარაფერს ნიშნავდა მოსიარულე ადამიანები. მისაბაძი მაგალითები მგლები იყვნენ, რომლებმაც ისინი გაზარდეს.

ადამიანთან ურთიერთობით სწავლობს ბავშვი ყურადღებიანობას, ადამიანებთან ქცევის წესებს, სწავლობს ცხოველებთან და მცენარეებთან მოპყრობას.

ის, ვინც მაგალითის მიმცემია ბავშვისთვის, ამავდროულად მასში დაცულობის და უსაფრთხოების განცდას აღძრავს. უფროსებმა იციან, რა სჭირდებათ ბავშვებს, რა არის მათთვის აუცილებელი. ხშირად სიმამაცისკენ უბიძგებენ, ზოგჯერ კი საზღვრების დაწესება უწევთ, რათა ბავშვმა შეძლოს ორიენტაცია, ისწავლოს, რომ ამ ქვეყნად მარტო არ არის. ძნელია, მუდამ სამაგალითო იყო ბავშვისთვის, ყველას საკუთარი სისუსტეები და საზრუნავი გააჩნია, მაგრამ ბავშვთან არაძალადობრივი ურთიერთობის დასამყარებლად, ყველაფრის წონასწორობაში მოყვანა გვმართებს. თუმცა, არიან ისეთი უფროსებიც (მაგალითის მიმცემები), რომლებიც უარს არ ამბობენ ძალაუფლების გამოვლენაზე და საკუთარი სიმართლის დასამკვიდრებლად ძალადობრივ გზას მიმართავენ. ძალა კი სიმტკიცე და უღმობელობაა. როცა ასეთი ურთიერთობებია – იქ ბავშვის ჰარმონიულ განვითარებაზე საუბარი ზედმეტია. ასე გაზრდილი ადამიანები,

როცა თავად ხდებიან მშობლები, ხშირად მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და ზედმეტად ლოიალურები ხდებიან („ჩემი შვილი თავისუფალია და თავად გადაწყვიტოს რა სურს. მე მინდა მისი მეგობარი ვიყო“). რა ემართება ბავშვს, როცა უფროსები მათ თანასწორ მდგომარეობაში აყენებენ? პატარებსაც შეუძლიათ მშობლებზე ზეწოლა. ხშირად უფროსებიც აყვებიან მათ თამაშში. ზოგი თავის შვილს მეფის როლს მორატებს და გამუდმებით იმეორებს: „შენ როგორც იტყვი, მეფე, ისე იქნება“. არის კი ყოველთვის გონივრული ბავშვის „დაკრულზე ცეკვა“, მათთან დიდი ადამიანივით საუბარი? რა თქმა უნდა, საუბარი შესაძლებელია, ოღონდ არა პირველ შვიდწლეულში.

ბავშვს სურს იყოს ბავშვი. ითხოვს, იყოს დაცული და იცოდეს, თუ სად გადის ზღვარი. ისინი ნერვიულები და ჭირვეულები ხდებიან თუკი გამუდმებით ეკითხებიან „რა სურთ“ და ყველა მათ ნება-სურვილს ასრულებენ. არც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაა ამ ასაკისთვის შესაფერისი. თითქოს გვეუბნებიან „არ გვეკითხოთ ჩვენ რა გვსურს, საამისოდ ჯერ პატარები ვართ. გვაცალეთ ბავშვობა“. თუკი მშობელს გაცნობიერებული აქვს, რომ ბავშვისთვის მისაბაძი მაგალითია, არასდროს ექნება ძალაუფლების გამოვლენის სურვილი და მხოლოდ იმას გააკეთებს, რაც ბავშვისთვის სასარგებლოა.

ყველა ბავშვი განსაკუთრებული უნარების მატარებელია, ყოველ მათგანში იმალება ინდივიდუალობა. ჩვენი ვალია, დავეხმაროთ ამ უნარების განვითარებაში. ამისთვის კი საშუალება უნდა მივცეთ სამყარო გაიცნონ და შეიმეცნონ, განვიითარონ გრძნობის ორგანოები, იყვნენ ქმედითები, ბევრი იშრომონ. ამით ინდივიდუალობას და იდეების განხორციელების უნარს მოიპოვებენ. ბავშვისთვის დიდი სიხარული მოაქვს, როცა რაღაცას დამოუკიდებლად აკეთებს, თვითონ ქმნის. განსაკუთრებით უყვართ ოჯახური საქმეები. მუდამ ჩვენს გვერდით სურთ ტრიალი, და იმის კეთება, რასაც ჩვენ ვაკეთებთ: ცხობა, უთობა, ქსოვა, ყვავილების მოვლა, დალაგება. ყველაფერი ეს მათ დიდ სიხარულს ანიჭებთ. სასწაულებრივად მოქმედებს სიტყვები – „შეგიძლია, შენც გააკეთო“, და არა – „ვალდებული ხარ, გააკეთო.“ მაშინ საქმის კეთება მათ სიხარულს აღარ ანიჭებთ, ეს უკვე ძალდატანებაა. ისე უნდა ვსაქმიანობდეთ, რომ ბავშვს მიბაძვის სურვილი გაუჩნდეს (სიმღერით, ხალისით). განსაკუთრებით უყვართ, როცა საქმიანობას შევუქმებთ. ამით გრძნობენ, რომ მათი ქმედება მნიშვნელოვანია და სასარგებლო ოჯახისთვის. უფროსები ხშირად, დროის სიმცირის გამო, არ ვაძლევთ ბავშვებს უფლებას, რომ დაგვეხმარონ, ამით ვზღუდავთ მათ აქტიურობას და ხელს ვუშლით გამოცდილების შექენაში.

ჩვეულებები

ოჯახური თანაცხოვრება, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილების წყაროა სოციალური ურთიერთობების სწავლისთვის. ხშირად, მშობლები ცდილობენ ბავშვებს ყოველდღიური საქმიანობები თავიდან აარიდონ. მაგალითად, ალაგება, სუფრის გაშლა, ყურადღებიანი მოპყრობა სხვების მიმართ. „ის ჯერ კიდევ პატარაა“, თავს ამით იმართლებენ. „ოღესმე ამას აუცილებლად ისწავლის“, მაგრამ ეს ოღესმე როდის დადგება არავინ იცის. არადა პირველი შვიდი წელი ის დროა, როდესაც ყველაფრის გაწონასწორებაა შესაძლებელი. შემდეგ, უკვე დაგვიანებულია, ან თითქმის შეუძლებელი. დიდ ძალისხმევას მოითხოვს შეცდომების გამოსწორება, ან რაიმე უნარის ათვისება. კარგი ჩვევები ჩვენი

დახმარებით უნდა გამოიმუშაონ. მაგალითად, კბილების გამოხეხვა (ეს მათთან ერთად ჩვენც უნდა გავაკეთოთ, თანაც ხალისით. კარგად ავაქაფოთ ჯაგრისი.) და მაგიდის გაშლა. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც აუცილებელი და სასურველი ერთმანეთთან თანხმობაშია. ხშირად მარტო მაგალითის მიცემა არ არის საკმარისი, საჭიროა განწყობის შექმნაც. მაგალითად, ალაგების დროს სიმღერის წამოწყება “ვალაგებთ, ვალაგებთ” მშვენიერი მოტივია მათთვის, მაშინვე ჩვენთან გაჩნდნენ და დაგვეხმარონ.

ბავშვი თავისთავად ვერ ისწავლის თავაზიანობას – ამისთვის მაგალითი სჭირდება. ძალიან კარგი თამაშია ადრეულ ასაკში – მისაღმება, მადლობის გადახდა (ვთხოვთ რაიმე ნივთი მოგვაწოდოს. თხოვნას რომ შეგვისრულებს, მადლობას ვუხდით, ამ ნივთს ვუბრუნებთ და ახლა მან უნდა გადაგვიხადოს მადლობა), მადლიერების გამოხატვა ჭამის წინ, ძილის წინ ლოცვა. ოჯახის ერთიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთად საუზმე, სადილი და ვახშამი. მნიშვნელოვანია, სუფრა ღამაზად გაიშალოს ბავშვების დახმარებით. იყოს სიმშვიდე, ვეცადოთ, რომ არსად მიგვეჩქარებოდეს.

სოციალური ურთიერთობები

საზღვრების დაწესება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორ? ეს არც თუ ისე იოლია. ხშირად ჭრის, როდესაც ბავშვებთან მზერით ვამყარებთ კონტაქტს, სიტყვიერი კონტაქტის შემთხვევაში ხმის ტემბრი მშვიდი უნდა იყოს. ამით ვუჩვენებთ საზღვრებს, რათა იცოდნენ, სად გაჩერდნენ, დამოუკიდებლად ზღვრის პოვნა ბავშვებს ძალიან უჭირთ, იღვზნებიან და ჭირვეულობენ (მაგალითად: „ნაყინი მიყიდეთ! ნაყინი ძალიან მინდა!“- ითხოვს ბავშვი, ცოტა ხანში ფეხების ბაკუნს და ტირილს იწყებს. ჩვენ კი არ გვსურს ვუყიდოთ და ათას მიზეზს ვიგონებთ, თითქმის თავს ვიშარტლებთ - „ფული არა მაქვს,” ან “ახლა ჭამის დროა და არ შეიძლება,” ან სხვა.). დაგვაფიქვდა, რომ არსებობს ოქროს წესი რომელიც ყველა შემთხვევაში ჭრის – დავიხაროთ, ხელი ხელზე მოვიკიდოთ, თვალებში ჩავხედოთ და მშვიდად, მაგრამ მტკიცედ ვუთხრათ: – დღეს მე ნაყინს არ გიყიდი. ამ დროს ყველაფერი გარკვეულია და თავის ადგილზე დგას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები რაღაცას თავისი ინიციატივით აკეთებენ და არა ჩვენი დაპირებით („თუ ამას გააკეთებ, ნაყინს გიყიდი“). ეს დამანგრეველად მოქმედებს მათზე. ასე მაკაკები იწვრთნებიან. კბილთა ცვლამდე, არც მორალური ცნებებით შეიძლება საუბარი, რადგან ამ ასაკში ბავშვებს ცნებათა არსის შინაგანი განცდის უნარი არ გააჩნიათ და მორალური ცნებებიც მათთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. მორალური სფეროდან მათზე მხოლოდ ჩვენი საქციელი ახდენს გავლენას და ის მორალური ატმოსფერო, რომელიც ბავშვის ირგვლის მყოფთა მიერ იქმნება. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა, ისე ვიმოქმედოთ ბავშვის გარემოცვაში, რომ იგი გონებითა და გრძნობებით სიკეთის, სიბრძნის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მიმბაძველ არსებად იქცეს.